

ოქმი ქართულ-ოსური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგებისა ქართული, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეებისა და ეუთოს მონაწილეობით

1995 წლის 30 ოქტომბერს ქ. ვლადიკავკაზში შედგა ქართული, სამხრეთ ოსეთის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეების შეხვედრა ეუთოს მონაწილეობით – შეხვედრაზე განიხილეს ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სრულმასშტაბიანი მოწესრიგების თაობაზე მუდმივი მოლაპარაკების პროცესის ორგანიზების საკითხი.

მხარეები შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ დაიწყო მოლაპარაკებათა პროცესი. ამ მიზნით მხარეთა საექსპერტო ჯგუფებს დაევადათ უახლოეს დროში მოამზადონ წინადადებები შემდეგ საკითხებზე:

- უშიშროების ღონისძიებები და გარანტიები;
- მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება;
- ეკონომიკური აღდგენა და სამეურნეო კავშირების გამართვა;
- სამხრეთ ოსეთის სტატუსი;

ამ პუნქტზე სამხრეთ ოსეთის მხარის ფორმულირება ასეთია: სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოწესრიგების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ასპექტების შესახებ;

- მხარეთა შორის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების სხვა პრობლემები;

მხარეებს შესაძლებლად მიაჩნიათ მოლაპარაკების პროცესში თავიანთი პარლამენტარების მონაწილეობაც.

საექსპერტო ჯგუფების მუშაობის შედეგები განიხილონ მხარეთა შემდგომ შეხვედრაზე.

საქართველოს მხარის სახელით **ი. მენღარიშვილი**.

სამხრეთ ოსეთის მხარის სახელით **ვ. გაბარაევი**.

რუსეთის მხარის სახელით **ნ. მეღველევი**.

ჩრდილოეთ ოსეთის მხარის სახელით **ბ. ჯიგაევი**.

ეუთოს სახელით **დიტერ ბოდენი**.

1995 წლის 30 ოქტომბერი.